სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების თაობაზე შექმნილი სამუშაო ჯგუფის

სხდომის ოქმი N 2

სამტრედია **01.06.2023წ.**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების თაობაზე შექმნილი სამუშაო ჯგუფის სხდომა ჩატარდა 2023 წლის 1ივნისს, მერიის ადმინისტრაციულ შენობაში, მისამართი სამტრედია რესპუბლიკის ქუჩა N6.

სამუშაო ჯგუფის სხდომა მოწვეული იქნა 2024-2027 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების თაობაზე სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 28 თებერვლის N№62.6223059001 ბრძანების შესაბამისად სამუშაო ჯგუფს ხელმძღვანელობს-მუნიციპალიტეტის მერი დავით ბახტაძე.

სამუშაო ჯგუფის შეხვედრას ესწრებოდნენ:

სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი- მუნიციპალიტეტის მერი დავით ბახტაძე.

სამუშაო ჯგუფის წევრები: მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეები- მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები , მუნიციპალიტრტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, საკრებულოს კომისიის თავმჯდომარეები,მერის წარმომადგენლები ადმინისტრაციულ ერთეულებში,მერიის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრები,მერიის სპეციალისტი გენდერულ საკითხებში და მუნიციპალიტეტს დაქვემდებარებული ა(ა)იპ-ებისა და შპს-ეების წარმომადგენლები.

დღის წესრიგი:

2.სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2024-2027წლების პრიორიტეტების დადგენა, რომელიც შედგენილი იქნა მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი გეგმის დოკუმენტის, მერიის სტრუქტურული ერთეულების და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციებიდან წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე.

განხილვა:

სამუშაო ჯგუფმა მოისმინა მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო- საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მოხსენება დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთან დაკავშირებით.

გამოკითხვის შედეგად გამოიკვეთა და განისაზღვრა პრიორიტეტები, რომლებიც გათვალისწინებული იქნება მომავალი 4 წლის პრიორიტეტების დოკუმენტსა და საშუალოვადიან სამოქმედო გეგმის და წლის ბიუჯეტის შედგენის პროცესში.

ინფრასტრუქტურის განვითარება; კერძოდ: საგზაო ინფრასტრუქტურული განვითარება, ხიდებისა და ბოგირების მშენებლობა, წყლის სისტემების ექსპლოატაცია მოვლა-შენახვა, გარე განათების მოწყობა, მოვლა-შენახვა;

დასუფთავება და გარემოს დაცვა;

განათლება; კერძოდ: საბავშვო ბაღების გაერთიანების სუბსიდირება,საჯარო სკოლების ტრანსპორტირება და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება;

კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობა და სპორტი

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა.

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები,წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ხელისუფლება.

აზრი გამოთქვეს: მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებმა, სამსახურის უფროსებმა, საფინანსო სამსახურის თანამშრომლებმა და დამსწრე პირებმა.

გამომსვლელებმა იმსჯელეს სამტრედიის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების მნიშვნელობებთან დაკავშირებით.

სამუშაო ჯგუფის მიერ მიღებული გადაწყვეტილება:

ანალიზის შედეგებზე დაყრდნობით ძირითადი პრიორიტეტები, პროგრამები და ქვეპროგრამები დარჩა უცვლელი.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები

მოცემული შეხვედრის მიზანია უკვე განსაზღვრული პრიორიტეტების დახარისხება, რაც ხორციელდება ადგილობრივი თვითმმართველობის მრავალწლიანი/საშუალოვადიანი გეგმის დოკუმენტის საფუძველზე. აქტიურად გაგრძელდება შესაბამისი მუნიციპალური ინსტიტუტების მუშაობის ხარისხობრივი გაუმჯობესება, რაც ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის ეკონომიკური პოლიტიკის ეფექტიანად განხორციელებას.

2023 წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტში მიმდინარეობს სხვადასხვა აქტივობები, ჩამოყალიბებულია მუნიციპალიტეტის განვითარების ძირითადი მიმართულებები, ბიუჯეტში გათვალისწინებულია 6 ძირითადი პრიორიტეტული მიმართულება და პრიორიტეტის ფარგლებში განსახორციელებელი პროგრამები და ქვეპროგრამები. დარგობრივი სამსახურების მიერ წარმოდგენილი 2024-2027 წლების პრიორიტეტების მიხედვით სამტრედიის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტული მიმართულებები დასაგეგმ და შემდგომ სამი წლის განმავლობაში დარჩა უცვლელი, კერძოდ:

- **ინფრასტრუქტურა;**
- **დასუფთავება და გარემოს დაცვა;**
- **განათლება;**
- **კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი;**
- **ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა;**
- **წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ხელისუფლება;**

როგორც გასულ პერიოდში, 2024-2027 წლებშიც წარმოდგენილი პრიორიტეტული მიმართულებების მიხედვით აქტიურად გაგრძელდება სხვადასხვა ღონისძიებების და ხარჯების დაფინანსება.

მოკლედ განვიხილოთ თითოეული პრიორიტეტის ფარგლებში მოსალოდნელი განსახორციელებელი ღონისძიებები.

- ✓ **მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება** სამტრედიის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა - რეგილიტაცია, ქალაქის საცხოვრებელი უბნების, ეზოების, დასასვენებელი პარკების და მაღალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსების კეთილმოწყობა, მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები. მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის განვითარება და გაუმჯობესება პირდაპირ კავშირშია მუნიციპალიტეტეის მოსახლეობის

კეთილდღეობასთან. ინფრასტრუქტურის მოწესრიგება ხელს უწყობს მუნიციპალიტეტში ინვესტიციების მოზიდვას რაც წინა პირობაა ტურიზმის, მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და სხვ დარგების განვითარების.

- ✓ **დასუფთავება და გარემოს დაცვის პრიორიტეტის** ფარგლებში განხორციელდება გარემოს დასუფთავება და ნარჩენების გატანა, მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება, კაპიტალური დაბანდებები დასუფთავების სფეროში, უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის დასუფთავება, შესაბამისად ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ქალაქის სანიტარული წესრიგის შენარჩუნება და გაუმჯობესება; ნარჩენების სრული იზოლირება მოსახლეობისა და გარემოსაგან; მუნიციპალიტეტის ყოველდღიური დაგვა–დასუფთავება და ნარჩენების გატანა; ქალაქის ტერიტორიის კეთილმოწყობითი და გამწვანებითი სამუშაოები. ერთწლიანი და მრავალწლიანი ნარგავების დარგვა, სკვერებში ბალახის გათიბვა ქალაქისა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სასაფლაოების მოვლა - გაწმენდა ბალახისა და ბუჩქნარისგან.
- ✓ **განათლების მიმართულებით** მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, ინვენტარით უზრუნველყოფა, რეაბილიტაცია, აღმზრდელ-პედაგოგების კვალიფიკაციის გაზრდა, რათა მყარი საფუძველი ჩაეყაროს სკოლამდელი ასაკის აღსაზრდელების ხარისხიან და ეფექტურ მომზადებას სასკოლო განათლების მისაღებად.
- ✓ მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს **კულტურული ტრადიციების დაცვას** და ამ ტრადიციების ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე ერთ–ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. სპორტის, ახალგაზრდობის და კულტურის მიმართულების მხარდაჭერა უზრუნველყოფს რეგიონის სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებას, ერთმანეთთან აკავშირებს სხვადასხვა დარგებს და მნიშვნელოვან როლს თამაშობს მათ განვითარებაში, ხელს უწყობს ტურიზმის, მეწარმეობის განვითარებას, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას. მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ღონისძიებების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება, ასევე ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების ჩატარებას.

- ✓ **მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა** მუნიციპალიტეტის ერთ–ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დახმარებას და სხვადასხვა შეღავათებით უზრუნველყოფას. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში განაგრძობს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელებას, რაც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან.

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარება ძირითადად ეფუძნება ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პოლიტიკას, თავისუფალი ბაზრის პრინციპებს. მუნიციპალიტეტის მთავარი მიზანია ხელი შეუწყოს აღნიშნულიდან გამომდინარე ყურადღება დაეთმობა ინფრასტრუქტურის სწრაფ განვითარებას, როგორც ეკონომიკური ზრდის მასტიმულირებელ ფაქტორს.

გრძელვადიანი და მაღალი ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად, ადგილობრივი ხელისუფლება იმუშავებს ეკონომიკის სტრუქტურულ ტრანსფორმაციაზე და ეკონომიკის ფაქტორების, ასევე მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული რესურსების მაქსიმალურ ჩართვაზე ეკონომიკურ აქტივობაში.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების პროცესის კოორდინაციის სამუშაო ჯგუფის წევრები

#	სახელი, გვარი	თანამდებობა	ხელმოწერა
1	დავით ბახტაძე	სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერი - თავმჯდომარე	
2	ვლადიმერ ზაქრაძე	მერის პირველი მოადგილე - თანათავმჯდომარე	
3	გიორგი მეიშვილი	მერის მოადგილე	
4	ვაჟა სტურუა	სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე	
5	დავით ბაღდავაძე	საფინანსო- საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი	
6	ბეჟან გეგეშიძე	ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი	
7	პაატა ხარებავა	შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი	
8	ნოე ივანიაძე	ეკონომიკური განვითარების, ეკონომიკური სტატისტიკის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსი	
9	ზურაბ გოგია	ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი.	
10	ლევან ახობაძე	ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსი.	

11	ნატალია მანჯგალაძე	განათლების კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსი	
12	ზაქრო კაჭახიძე	სამხედრო გაწვევისა და აღრიცხვის სამსახურის უფროსი	
13	მედეა ლეჟავა	საფინანსო- საბიუჯეტო სამსახურის საბიუჯეტო დაგეგმვისა და საფინანსო ზედამხედველობის განყოფილების უფროსი	
14	ნათელა ხაბეიშვილი	საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის საბიუჯეტო დაგეგმვისა და საფინანსო ზედამხედველობის განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ბიუჯეტის დაგეგმვისა და ფორმირების საკითხში	
15	მაკა სეხნიაშვილი	საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის საბიუჯეტო დაგეგმვისა და საფინანსო ზედამხედველობის განყოფილების მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ბიუჯეტის დაგეგმვის, ფორმირების და ზედამხედველობის საკითხებში	
16	თენგიზ ცაგურია	მერის წარმომადგენელი ქალაქ სამტრედიაში	
17	ნუგზარ ნუცუბიძე	მერის წარმომადგენელი სოფელ დიდი ჯიხაიშში	
18	ზაზა ნიკოლეიშვილი	მერის წარმომადგენელი გომის ადმინისტრაციულ ერთეულში	
19	კახაბერ კოპალეიშვილი	მერის წარმომადგენლის მ/შ სოფელ იანეთში	
20	ვლადიმერ სოხანეიშვილი	მერის წარმომადგენელი დაბა კულაშში	
21	სოფიკო კიკაჩეიშვილი	მერის წარმომადგენელი მელაურის ადმინისტრაციულ ერთეულში	
22	გრიგოლ დარჯანია	მერის წარმომადგენელი ეწერის ადმინისტრაციულ ერთეულში	
23	ოთარ წულეისკირი	მერის წარმომადგენელი ნაბაკევის ადმინისტრაციულ ერთეულში	
24	მერაბი არველაძე	მერის წარმომადგენელი ღანირის ადმინისტრაციულ ერთეულში	

25	თენგიზ ქორიძე	მერის წარმომადგენელი საჯავახოს ადმინისტრაციულ ერთეულში	
26	ხათუნა ლებანიძე	მერის წარმომადგენელი სოფელ გორმაღალში	
26	გივი სიხარულიძე	მერის წარმომადგენელი ტოლების ადმინისტრაციულ ერთეულში	
27	მერაბ თევზაძე	მერის წარმომადგენელი ოფეთის ადმინისტრაციულ ერთეულში	
28	მარინა ქორიძე	მერის წარმომადგენელი სოფელ გამოჩინებულში	
29	ქალთამზე ჩხეიძე	მერის წარმომადგენელის მ/შ სოფელ ბაშში	
30	ჯონი ნადირაძე	წმინდა დავით აღმაშენებლის სახელობის საკათედრო ტაძრის კომპლექსის მშენებლობის ხელმძღვანელი-სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წარმომადგენელი	
31	ზაზა ნიკოლეიშვილი	სამტრედიის საზოგადოების წარმომადგენელი - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრი	
32	ქეთინო ფანცულაია	შპს ''ბავშვთა საავადმყოფოს''-ს დირექტორი - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრი	
33	თინათინ ხარძიანი	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს -ქალაქ სამტრედიის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი-სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრი	
34	ავთანდილ ტორონჯაძე	საქართველოს რკინიგზის სამტრედიის სავაგონო დეპოს უფროსი -სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრი	
35	თამაზ ჟორდანია	შ.პ.ს სამტრედიის სამედიცინო ცენტრი ''რკინიგზა 1872''-ის დირექტორი-სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრი	
36	ნინო შარაშენიძე	ააიპ ''სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის განვითარების ორგანიზაციის'' სამტრედიის კოორდინატორი-სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრი.	
37	ია კოპალეიშვილი	შპს''არგოს დირექტორი''-სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრი	

38	ვენერა ოდილავაძე	ს.ს.ი.პ ქალაქ სამტრედიის მე-3-ე საჯარო სკოლის დირექტორი- სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრი	
39	ლუარა კახიანი	შ.პ.ს''ჯეოჰოსპიტალს''-ის სამტრედიის ამბულატორიული ცენტრის მენეჯერი- სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოწს წევრი	
40	თამაზ ნიკურაძე	შ.პ.ს'' სამტრედიის მაცნეს'' ტექნიკური მენეჯერი- სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრი	
41	თამაზ მურღულაია	არასამთავრობო ორგანიზაცია''სამტრედიელი''ს ხელმძღვანელი-სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრი	
42	ჯონი სტურუა	ს.ს''მოგზაურის ''დირექტორი-სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრი	
43	დარეჯან შვანგირაძე	შ.პ.ს ''ოკეანეს'' დირექტორი- სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრი	
44	პავლე ხაჩატუროვი	მეწარმე-სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრი	
45	მერაბ უღრელიძე	საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე	
46	მანანა სირბილაძე	საკრებულოს იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე.	
47	ირაკლი მელაშვილი	საკრებულოს განათლების კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე.	
48	ტარიელ ცომაია	საკრებულოს ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე.	
49	გიორგი ლეჟავა	საკრებულოს შრომის ,ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე	
50	სოფიკო ახობაძე	მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი გენდერულ საკითხებში	

დამსწრე პირები-ა(ა)იპ და შპს ორგანიზაციების წარმომადგენლები

#	დასახელება	ხელმოწერა
1	ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანება	
2	ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება	
3	ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება	
4	ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი	
5	ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საცხენოსნო სპორტული კლუბი	
6	ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სპორტული სკოლა	
7	ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საფრენბურთო კლუბი " ჯიკო"	
8	ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის "ხელბურთელთა კლუბი სამტრედია"	
9	შპს სპორტკომპლექსი "სამტრედია"	
10	ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საჭიდაო კლუბი "ფალავანი"	
11	ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის დომენტი შანიძის სახელობის #1 სახელოვნებო სკოლა	
12	ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის # 2 სამუსიკო სკოლა	
13	ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ტოლეების სამუსიკო სკოლა	
14	ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის გომის თემის სამუსიკო სკოლა	
15	ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი ჯიხაიშის სახელოვნებო სკოლა	
16	ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის დაბა კულაშის სამუსიკო სკოლა	
17	ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის "სამხატვრო სკოლა-გალერეა"	

18	ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის "ეროსი მანჯგალაძის" სახელობის კულტურის ცენტრი	
19	ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანება	
20	შპს სამტრედიის "მაცნე"	
21	ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო ცენტრი	
22	ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამტრედიის ცენტრი	
23	ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სახლი "თანადგომა"	
24	ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის "სათნოების" სახლი	
25	რაგბის კლუბი " ფენიქსი"	